პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 შაბათი 24 აპრილი № 95 (16525) ფასი 2 კაპ. 1976

პიონერებო და მოსწავლეებო! მხურვალედ გიყვარდეთ საბჭოთა სამშობლო, კარგად იხარელეთ, დაეუფლეთ ზრომითს ჩვევებს! ეამზადეთ, რომ გახდეთ ლენინის საქმისათვის, კომუნიზმისათვის აქტიური მებრძოლები!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან

22 აპრილს ვ. ი. ლენინის ძეგლთან მივიდნენ თბილისელი პიონერ-მოსწავლეები და ცოცხალი ყვავილების თაიგულებით შეამკეს იგი. სურათზე: პიონერ-მოსწავლეები ვ. ი. ლენინის ძეგლთან.

გ. გიგიხიას ფოტო.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში

სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების 1976 წლის პირველი კვარტალის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეკანოზებმა, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების 1976 წლის პირველი კვარტალის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების საკითხი.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, იბრძვიან წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, მეათე ხუთწლედის პირველი წლის პირველ კვარტალში ახალი წარმატებანი მოიპოვეს. მთლიანი პროდუქციის წარმოების პირველი კვარტალის გეგმა შესრულდა 102,5 პროცენტით, გეგმის გადაჭარბებით წარმოებულია 34,8 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

მთლიანად რესპუბლიკის მრეწველობაში პროდუქციის საშუალო-სადღეღამესო წარმოებამ შეადგინა 19,5 მილიონი მანეთი გეგმით გათვალისწინებული 19,1 მილიონი მანეთის ნაცვლად. შრომის ნაყოფიერება 1975 წლის შესაბამის პერიოდში მიღწეულ დონესთან შედარებით გაიზარდა 5,1 პროცენტით. პროდუქციის წარმოების მატებამ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით რესპუბლიკის მრეწველობაში შეადგინა 76,5 პროცენტი. კარგად იმუშავეს ბერეთი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. პირველ კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოებულია მეტი ხორცი, რძე და კვერცხი. შესაბამისად გაუმჯობესეს მუშაობა საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს, გაჭრობის სამინისტროს, კოლმეურნეობებმა.

ამასთანავე აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები და გადაუწყვეტელი პრობლემები. მთელი რიგი საწარმოები, მშენებლობები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ვერ ასრულებენ საგეგმო დავალებებსა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს, რაც ზარალოთით გავლენას ახდენს საერთო მაჩვენებლებზე. პირველ კვარტალში პროდუქციის რეალიზაციის ზრდულობის გეგმა ვერ შესრულდა 88 საწარმომ და ორგანიზაციამ ანუ მათი საერთო რიცხვის 9,6 პროცენტმა, რომლებმაც გეგმას დააკლეს 23,1 მილიონი მანეთის პროდუქცია.

საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების 34 სამინისტროდან და უწყებიდან პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის პირველი კვარტალის გეგმა ვერ შეასრულა შვიდმა, ანუ მათი საერთო რიცხვის 20,6 პროცენტმა. მათ შორის არიან: საქართველოს სსრ სამენო მასალათა მრეწველობის სამინისტრო, მშენებლობის სამინისტრო და სხვ. შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით პროდუქციის მატების მაჩვენებლები საშუალო-რესპუბლიკურზე ნაკლები ჰქონდათ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, კვების მრეწველობის სამინისტროს, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, დამზადების სამინისტროს და სხვ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ღრმად გააანალიზეს სამინისტროებისა და უწყებების, ალკ ცენტრალურ კომიტეტებსა, საქართველოს სსრ ქალაქებსა და რაიონებში ეკონომიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებათა განხორციელებისა, ეკონომიკური ბერკეტებისა და ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ეფექტიანობ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ყოველ ახალგაზრდა მუშას — საშუალო განათლება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა რესპუბლიკის მუშა ახალგაზრდობის საშუალო განათლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ, აბორციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებისა და ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის შემდგომი განვითარების შესახებ", რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, მისი აღგილობრივი ორგანოები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ბოლო დროს უფრო საფუძვლიანად განიხილავენ მუშა ახალგაზრდობის საშუალო განათლების საკითხებს.

მეცხრე ხუთწლედის მანძილზე საქმოს (ცქლიანი) და დაუსწრებელი სკოლების ქსელის შენახვისა და გაფართოებას მარტო სახელმწიფო ბიუჯეტიდან 34 მილიონზე მეტი მანეთი მოხმარდა. 26 ათასმა მუშა ახალგაზრდამ — ქალაშვილებმა და ჭაბუკებმა მიიღეს რვაწლიანი განათლება, 42 ათასზე მეტმა — საშუალო განათლება, მუშა-ახალგაზრდობა განათლებას იღებს 15 საშუალო სპეციალური სასწავლებლის საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა აკადემიური წარმატება 1973-1975 წლებში წინა წლებთან შედარებით რამდენადმე ამაღლდა, შემცირდა კლასში დარჩენილ მოსწავლეთა რიცხვი, იკლო სკოლებიდან მოსწავლეთმ განთავისუფლებამ, განმტკიცდა დისციპლინა.

ამასთანავე დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზებია მუშა ახალგაზრდობის საშუალო განათლების დაყენების საქმეში. 16-19 წლის ასაკის რამდენიმე ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი არსად არ სწავლობს. ბევრ მათგანს არა აქვს რეგულიანი და საშუალო განათლება.

საღამოს (ცქლიანი) და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის შეესების გეგმა სისტემატურად არ სრულდება აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, თბილისში, ფოთში, ტყიბულში, ამბროლაურის, დმანისის რაიონებში, იგრეთვე ზოგიერთ სხვა ქალაქსა და რაიონში.

დადგენილებაში ყურადღება ეთმობა სერიოზულ შეცდომებს მუშა ახალგაზრდობის საღამოსა და დაუსწრებელი საშუალო განათლების კონტინგენტის დაგეგმვაში. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, განათლების სამინისტრო, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროო მეცხრე ხუთწლედში ადგენენ მერეე ხუთწლედად ზოდარებით კონტინგენტის შეცარების გზას.

არსებითი ნაკლოვანებანი იყო სასწავლო-აღმზრდელობის მუშაობაში. ამის შედეგად ჯერ კიდევ 1 მილიონ 295 ათასი მანეთის სამუშაოები, რაც გეგმის 59,6 პროცენტს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ პირველ კვარტალში ქაშალის ტანში უნდა ჩაესხა 85 ათასი კუბური მეტრი ბეტონი. ამ გეგმას მშენებლებმა 21 ათასი კუბური მეტრი ბეტონი დააკლეს.

აპრილში ქაშალის ტანში გეგმით უნდა ჩაესხას 35 ათასი კუბური მეტრი ბეტონი. 21 აპრილისათვის ჩასხმული იყო 27 ათას 400 კუბური მეტრი. მართალია, ბეტონის ჩასხმის გეგმას აპრილში მშენებლები ასრულებენ, მაგრამ უკეფილი შედეგები იქნებოდა, რომ არ იყოს მთელი რიგი ხელშემშლელი მიზეზები.

ქაშალის ტანში ბეტონის ჩასხმის ყოველდღიური გეგმები არ სრულდება. ამ ბოლო დღეებში კი შეფერხება გამოიწვია ქაბელ-ამწეების ცუდმა მუშაობამ. № 2 ქაბელ-ამწე გეგმიური სამი დღის ნაცვლად 5 დღეზე მეტ ხანს რემონტზე იდგა. როცა იგი შეკეთდა, № 3 ქაბელ-ამწე გამოვიდა მწყობრიდან, რომელსაც ბაკური გაუწყდა და აღდგენაზე ორი დღემდე დაიკარგა. ამას ისიც დაემატა, რომ 75-ტონიანი ამწე გამოკიდა მწყობრიდან.

მეტი წილი ბეტონისა, ქაშალში უნდა ჩაესხას ბეტონის ზემო ქარხნიდან, რომელიც ინერტულ მასალებს 4 საბაგირო გზით ღებულობს. სამწუხაროდ, საბაგირო გზები დღემდე გაუმართავი და დაუკომპლექტებელია. საჭიროა სპეციალისტები. დღედამეში გეგმიური 600-800 კუბური მეტრი ბეტონის ნაცვლად საბაგირო გზების ცუდი მუშაობის გამო ზედა ბეტონის ქარხანა მხოლოდ 300-მდე კუბურ მეტრ ბეტონს იძლევა. საბაგირო გზის ერთ-ერთი საადგური დკას დამეწყრილ ადგილზე და წვიმის დროს მწყობრიდან გამოდის. დანარჩენ 3 საადგურს კვალიფიციური მუშაზელი არ ჰყავს. დიდთოვლიანობამ მწყობრიდან გამოიყვანა სატელეფონო და რადიოკავშირები, რომელიც დღემდე მთლიანად არ არის აღდგენილი.

მოჯარადრე ორგანიზაციების შინაარსსა და ხარისხს. მთელ რიგ საგნებს დაბალ დონეზე ასწავლიან. იშვიათად იყენებენ სწავლების თვალსაჩინოებისა და ტექნიკურ საშუალებებს. არის მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ფორმალიზმისა და ლიბერალიზმის ფაქტები.

მასწავლებლები მუდამ გულდასმით არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, არ უნერგავენ მოსწავლეებს დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევებს, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ მათ იდეურ, ზნეობრივ-მსოფლმხედველურ და ესთეტიკურ აღზრდას. ამის შედეგად საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების კურსდამთავრებულთა განათლების დონე, როგორც წესი, გაცილებით ჩამორჩება დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა მომზადების დონეს.

საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მასწავლებელთა ნახევარზე მეტი შეთავსებით მუშაობს.

ბევრ სკოლაში პირველადი პარტიული ორგანიზაციები მეცარეოსებოვანია, დაბალი მოსწავლეებსა და პედაგოგებს შორის ორგანიზაციულ-პოლიტიკური და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონე. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების უმრავლესობას არა აქვს საკუთარი სასწავლო-მატერიალური ბაზა. ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებელი არ არის საღამოსა და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა უზრუნველყოფა ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოებით, ხოლო მასწავლებლისა — სპეციალური მეთოდიკური ლიტერატურით.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი და პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი კათედრები არ ამუშავებენ მეცნიერულ-მეთოდიკურ პრობლემებს, რომლებიც საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების სპეციფიკასთან არის დაკავშირებული.

ზოგიერთი დარგობრივი სამინისტროსა და უწყების, საწარმოდაწესებულებების. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები ყოველდღიურ ინტერესს არ იჩენენ მუშა ახალგაზრდობის საშუალო განათლების საკითხებისადმი. არ უქმნიან მას სწავლისა და მუშაობის წარმატებით შეხამების პირობებს. არ აძლევენ ქუთვნილ შეღავათებს, ხშირად ტვირთავენ საწარმოო დავალებებით და ზეგანაკვეთური მუშაობით. არ ზრუნავენ იმისათვის, რომ საჭირო პირობები შეუქმნან საღამოს (ცქლიანი) და დაუსწრებელი სკოლების ნორმალურ მუშაობას.. ჯეროვნად არ აფასებენ მუშა ახალგაზრდობის მიერ საშუალო განათლების მიღების სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიურ მნიშვნელობას, მაშინ როცა საშუალო განათლება შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების არსებითი რეზერვია და ხელს უწყობს პიროვნების ჰარმონიული განვითარების.

დადგენილებაში, ხაზგასმულია, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, პარტიის საოლქო.. საქალაქო და რაიონული კომიტეტებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, შრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ვერ უზრუნველყვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 5 სექტემბრის დადგენილების შესრულება, რომელიც მიზნად ისახავს საღამოს (ცქლიანი) სკოლების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

ადგილობრივი პარტიული ორგანოები ნაკლებად განიხილავენ მუშა ახალგაზრდობის საღამოსა და დაუსწრებელი განათლების საკითხებს, არ აბორციელებენ ღონისძიებებს იმისათვის, რომ მთლიანად ჩაბან მუშა ახალგაზრდობა საშუალო განათლებაში, ძირეულად გაუმჯობესონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი საღამოს (ცქლიან) და დაუსწრებელ სკოლებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, აღჭურონ ესენი სასწავლო-მატერიალური ბაზით, გაამტკიცონ პედაგოგიური კოლექტივები კვალიფიციური მასწავლებლებით, ამაღლონ პედაგოგიური კოლექტივების, სამეურნეო, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკების პასუხისმგებლობა მუშა ახალგაზრდობის საშუალო განათლების მდგომარეობისათვის.

პარტიული პრესა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ მუშა ახალგაზრდობის მიერ საშუალო განათლების მიღების საკითხებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ხელმძღვანელობს რა პარტიის XXV ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ჩაშუალებებული დებულებებით, რომ საჭიროა სახალხო განათლებისა და პროფესიული მომზადების სისტემის მუდმივი სრულყოფა. საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაავალა დასახონ და განახორციელონ მუშა ახალგაზრდობის საშუალო განათლების სრულყოფის, საღამოს (ცქლიანი) და დაუსწრებელი, ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებისა და ტექნიკუმების მუშაობის ძირფესვიანი გაუმჯობესების კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმები.

მათ უნდა მიიღწიონ, რომ საღამოს (ცქლიანი) და დაუსწრებელი სკოლების ადმინისტრაციამ მჭიდრო კონტაქტები დამყაროს საწარმოებისა და დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებთან და პარტიულ ორგანიზაციებთან, მიაწყონ მათი შეობა საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების სკოლებისადმი, ეფექტურად ჩაბან ისინი ამ სასწავლებლების სასწავლო-მატერიალური ბაზის გაფართოებაში, განმტკიცებასა და აღჭურვაში.

უნდა ამაღლდეს საწარმოებისა და დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ მუშა ახალგაზრდობამ საშუალო განათლება მიიღოს. მათ ახალგაზრდობას უნდა შეუქმნან ყველა პირობა შრომისა და სწავლის წარმატებით შეხამებისათვის. საწარმოებისა და დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებისა და

პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის შეფასების დროს საწარმოო და სამეურნეო მაჩვენებლებთან ერთად გათვალისწინებული უნდა იყოს მუშა ახალგაზრდობის სწავლის ორგანიზაციის მაჩვენებლებიც.

უნდა განხორციელდეს საღამოს (ცქლიანი) და დაუსწრებელი სკოლების პირველადი პარტიული ორგანიზაციების ორგანიზაციული პოლიტიკური მუშაობის დონის შემდგომი ამაღლების ღონისძიებანი, ამაღლდეს მათი ეფექტიანობა და მებრძოლურობა, მიაღწიონ, რომ პარტორგანიზაციები ქმნიდნენ თავიანთი შრომის შედეგებისათვის მასწავლებელთა მაღალი აქტიურობისა და პასუხისმგებლობის ვითარებას. უნდა გაძლიერდეს პარტიული ფენა ამ სასწავლებელთა პედაგოგიურ კოლექტივებში.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა თავიანთი შეფარული კონტროლს უნდა დაუქვემდებარონ საღამოს (ცქლიანი) და დაუსწრებელი სკოლებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მუშაობა.

დადგენილება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ავალებს ძირფესვიანად გაუმჯობესოს საღამოს (ცქლიანი) და დაუსწრებელი სკოლების მუშაობა. ამაღლოს სასწავლო დისციპლინების სწავლების დონე, აღმოფხვრას ფორმალიზმი და ლიბერალიზმი ცოდნის შეფასებაში, სრულყოს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი და იდეურ-პოლიტიკური მუშაობა მოსწავლეებთან. უნდა შეიმუშაოს და გამოიყენოს - სწავლების ახალი ფორმები, რომლებიც მიზნად ისახავენ ამ სასწავლებლების სასწავლო-მატერიალური ბაზის გაფართოებაში, განმტკიცებასა და აღჭურვაში.

უნდა ამაღლდეს საწარმოებისა და დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობა, ეფექტურად ეზრუნონ ამ სასწავლებლების ნორმალურ ფუნქციონირებისა და ეფექტიანობისათვის, ეფექტურად ეზრუნონ, რომ ამ სასწავლებლებში ჩაბმულ მუშა-ახალგაზრდობას ხელი ეშალოს ამ სასწავლებლებში ეფექტიანად ჩაბმულ ახალგაზრდობის სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ორწლიანობის, სკოლიდან განთავისუფლებისათვის, ახალგაზრდა მშრომელთა სწავლისა და მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტმა დროულად უნდა გამოსცეს საჭირო ტირაჟით ძირითადი, დამხმარე სახელმძღვანელოები და მეთოდიკური ლიტერატურა საღამოს და დაუსწრებელი სკოლებისათვის, საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა ჟურნალებმა უნდა გააძლიერონ მუშა ახალგაზრდობის საშუალო განათლების საკითხების, მოწინავე სკოლების, ამ საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილების პროპაგანდა, რომლებიც ქმედითად ეხმარებიან საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებს მუშაობაში, სისტემატურად გამოავლინონ და გააკრიტიკონ არსებული ნაკლოვანებანი ამ საქმეში, მკაფიოდ და დამაჯერებლად გააშუქონ, თუ რა პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობისათვის საშუალო განათლების მიღებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ნათქვამია დადგენილებაში, ხაზს უსვამს რა მუშა ახალგაზრდობის მიერ საშუალო განათლების დამთავრების სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიურ მნიშვნელობას, ყველა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკისაგან, ახალგაზრდობის ორგანიზაციებისაგან, სამეურნეო ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს ძირფესვიანად გარდაქმნან დამოკიდებულება ახალგაზრდობის საღამოსა და დაუსწრებელი განათლებისადმი. საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების საჭიროებებისა და პრობლემებისადმი, განსაორციელონ სახალხო განათლების დარგში სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანები. (ფოტო შესრულების ღონისძიებებნნ. (საქინფორმი).

ჩამორჩენა უნდა დავძლიოთ

ეს დღეები ენგურჰესის მშენებლობაზე

ენგურის უნიკალური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლები და მემონტაჟეები დიდი პასუხისმგებლობის წინაშე დგანან, ყასკადის ძირითადი საფეხურის პირველი აგრეგატის ამუშავებამდე (1977 წლის ბოლო) 116 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა შეასრულონ, აქედან წლეულს — 49 მილიონ 426 ათასი მანეთისა.

დიდმა ზამთარმა საგრძნობი ზარალი მიაყენა მშენებლებს, ამიტომ პირველი კვარტალის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმა მხოლოდ 79,9 პროცენტით შეასრულეს. მშენებლობაზე გეგმიური 9 მილიონ 240 ათასი მანეთის ნაცვლად შესრულდა 7 მილიონ 385 ათასი მანეთის სამუშაოები. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ რთულ პირობებში ძალოვანი კვანძის, სამოძალაჭო მშენებლობის და მექანიზებული სამუშაოების სამმართველოებმა პირველი კვარტალის გეგმები მაინც გადაჭარბებით შეასრულეს.

აპრილში მუშაობის ტემპი შეესაბამებოდა გაიზარდა, მშენებლებმა უნდა შეასრულონ 3 მილიონ 900 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, მაგრამ 4 მილიონი მანეთის სამუშაოების შესრულებას კისრულობენ.

პირველი კვარტალის გეგმის შესრულებაში ჩამორჩნენ კაშხალშენისა და გვირაბმშენის სამმართველოები. დიდმა თოვლმა დაწეიტა მაღალი ძაბვის ელექტროხაზები, წყაქლია ანძები, კაშხალის მაღამოებში სატუმბი სადგურები წყალმა დაფარა. წყლით დაიფარა ე. წ. მეექვსე ჰორიზონტის გვირაბი, საიდანაც ბეტონით სამუშაოები და კაშხალის ფსკერის გასამაგრებელი ცემენტაცია სწარმოებს. ყინვამ შეაფერხა ტრანსპორტის მუშაობა.

პირველ კვარტალში კაშხალზე უნდა შეესრულებინათ 4 მილიონ 889 ათასი მანეთის სამუშაოები, მათ შორის საკუთარი ძალებით 2 მილიონ 716 ათასი მანეთისა, მაგრამ შეასრულეს 3 მილიონ 484 ათასი მანეთისა, საკუთარი ძალებით — 2 მილიონ 189 ათასი მანეთისა. მოიჯარადრე ორგანიზაციებმა 2 მილიონ 173 ათასი მანეთის ნაცვლად შეასრულეს 1 მილიონ 295 ათასი მანეთის სამუშაოები, რაც გეგმის 59,6 პროცენტს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ პირველ კვარტალში კაშხალის ტანში უნდა ჩაესხას 85 ათასი კუბური მეტრი ბეტონი. ამ გეგმას მშენებლებმა 21 ათასი კუბური მეტრი ბეტონი დააკლეს.

აპრილში კაშხალის ტანში გეგმით უნდა ჩაესხას 35 ათასი კუბური მეტრი ბეტონი. 21 აპრილისათვის ჩასხმული იყო 27 ათას 400 კუბური მეტრი. მართალია, ბეტონის ჩასხმის გეგმას აპრილში მშენებლები ასრულებენ, მაგრამ უკეფილი შედეგები იქნებოდა, რომ არ იყოს მთელი რიგი ხელშემშლელი მიზეზები.

ქაშალის ტანში ბეტონის ჩასხმის ყოველდღიური გეგმები არ სრულდება. ამ ბოლო დღეებში კი შეფერხება გამოიწვია ქაბელ-ამწეების ცუდმა მუშაობამ. № 2 ქაბელ-ამწე გეგმიური სამი დღის ნაცვლად 5 დღეზე მეტ ხანს რემონტზე იდგა. როცა იგი შეკეთდა, № 3 ქაბელ-ამწე გამოვიდა მწყობრიდან, რომელსაც ბაკური გაუწყდა და აღდგენაზე ორი დღემდე დაიკარგა. ამას ისიც დაემატა, რომ 75-ტონიანი ამწე გამოკიდა მწყობრიდან.

მეტი წილი ბეტონისა, ქაშალში უნდა ჩაესხას ბეტონის ზემო ქარხნიდან, რომელიც ინერტულ მასალებს 4 საბაგირო გზით ღებულობს. სამწუხაროდ, საბაგირო გზები დღემდე გაუმართავი და დაუკომპლექტებელია. საჭიროა სპეციალისტები. დღედამეში გეგმიური 600-800 კუბური მეტრი ბეტონის ნაცვლად საბაგირო გზების ცუდი მუშაობის გამო ზედა ბეტონის ქარხანა მხოლოდ 300-მდე კუბურ მეტრ ბეტონს იძლევა. საბაგირო გზის ერთ-ერთი საადგური დკას დამეწყრილ ადგილზე და წვიმის დროს მწყობრიდან გამოდის. დანარჩენ 3 საადგურს კვალიფიციური მუშაზელი არ ჰყავს. დიდთოვლიანობამ მწყობრიდან გამოიყვანა სატელეფონო და რადიოკავშირები, რომელიც დღემდე მთლიანად არ არის აღდგენილი.

მოჯარადრე ორგანიზაციების

სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილოგეგის გადაწყვეტილეგანი — ცხოვრებაში

სასხმელი ბადიები და სხვ. კომბინატელები კი თავს არ იწუხებენ.

პირველი კვარტალის გეგმის შესრულებას ჩამორჩა აგრეთვე გვირაბმშენის სამმართველო. პირველ კვარტალში სამმართველოს უნდა შეესრულებინა 1 მილიონ 228 ათასი მანეთის სამუშაო, მაგრამ 514 ათასი მანეთისა შეასრულა. მიზეზად რომ ორგანიზაციებმა პირველი კვარტალის გეგმა მხოლოდ 22 პროცენტით შეასრულეს(?!).

— საკუთარი ძალებით გეგმის შესრულებას 50 ათასი მანეთით ჩამოვრჩით, — გვითხრა სამმართველოს უფროსმა ხ. ზელიამ. — ზამთარმა ხელი შეგვიშალა, მაგრამ ახლაც გვეჭირს, გვაკლია ერთი მიწისქვეშა სპეციალური ექსკავატორი. არსებული ოთხი მანქანიდანაც სამი ძალიან ძველია, ხშირად მწყობრიდან გამოდის. საჭირო სათადარიგო ნაწილებს ვერ ვშოულობთ. ექსკავატორებს ქ. კოსტრომის მანქანათმშენებელი ქარხნიდან მხოლოდ მესამე კვარტალში მივიღებთ, ეს კი ძალიან გვიანია.

აპრილში გვირაბმშენებლები საკუთარი ძალებით გეგმას ასრულებენ (როგორც გვირაბის გაყვანისას, ისე ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოებისას), მაგრამ სუბმოიჯარადრე ორგანიზაციები აპრილშიც ჩამორჩებიან.

— ახლა ყველაფერი კეთდება ენგურჰესის მშენებლობაზე ეგეგმების შესასრულებლად, — გვიამბნა ჩვენთან საუბარში ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მ. ცისკარიშვილმა, — პირველი კვარტალის გარღვევებს მეორე და მესამე კვარტალებში გადავფარავთ, ხოლო წლის გეგმას გადაკარებებით შევასრულებთ.

კარგია, თუ მშენებლობის უფროსის ეს დაპირება საქმედ იქცევა. და ჩვენ ეს გვჯერა, რადგან ის დიდი შემართება, რაც ახლა ენგურზე იგრძნობა, უთუოდ წარმატების საწინდარია.

ლენინგრადელთა ინიციატივას საიანო-შუშენსკოეს ჰესის მშენებლებზე საყოველთაო დახმარების გაწევის შესახებ უნდა მიბაძონ რესპუბლიკის დიდმა საწარმოებმა და საყოველთაო დახმარება და შეფობა გაუწიონ ენგურჰესის მშენებლებს.

გ. ნოდია,
„კომუნისტის" ხაკ. კორ.

სურათზე: ენგურჰესის მშენებლობაზე მოწინავეა მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ბრიგადა, რომელსაც ნ. აკობია (პირველ რიგში ცენტრში) ხელმძღვანელობს.

ა. ეუფუნიას ფოტო.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე აღინიშნა, რომ ყურძნის საშუალო მოსავლიანობა გაიზარდოს 1,5-ჯერ და ხუთწლედის ბოლოსათვის 800 ათას ტონამდე აიღებენოთ.

ამ ამოცანის გადაჭრა, ძირითადად, ორი გზით შეიძლება. ყურძნის საჭეტრო მოსავლის გადიდებით და ახალი ვენახების რაც შეიძლება მეტ ფართობზე გაშენებით.

დასამალი არ არის, რომ მოწამოძვლდების დაბალი კულტურა, ეროზიული მოვლენების მკვეთრი ზრდა, ფერდობების სათოხნი კულტურებისათვის ათვისება კატასტროფიულად აცირებს საკარგულებს. მითუმეტეს, ჩვენი რესპუბლიკის საკარგულების ახლოდან 8 პროცენტია ეკავ ადგილებზე. დანარჩენი 92 პროცენტი ფერდობებია. სამწუხაროდ. ასეთ პირობებში, მრავალწლიანი კულტურების გაშენება ჯერ კიდევ ძირითადად ვაკე ადგილების ხარჯზე ან სათოხნი კულტურებისათვის გამოსაყენებელ 8-10 გრადუსის დახრილობის ფერდობებზე ხდება.

ნაადგილ გონივრულად გამოყენების საკითხი მრავალწლიან ნარგაობის ფლეგანდლი და შემდგომში გასაშენებელი პლანტაციებით, მარტო ჩვენს თაობას არ ეკუთვნის, იგი მომავალი თაობის შემდგომი ზრუნვის ობიექტიც არის. ამიტომ საჭიროა, რომ მრავალწლიან ნარგაგებს ფლეგანდლად, გაბედულად და დასაბუთებულად მავუჩინოთ შესაფერისი ადგილი.

საკითხს ასე დაყენება სიახლეს არ წარმოადგენს. ეს ცნობილია ყველასათვის, მაგრამ პრაქტიკულად თითქმის არ ხორციელდება, უკანასკნელი წლების მონაცემებით, როგორც ჩვენთან, ასევე სხვა რესპუბლიკებშიც მრავალწლიანი ნარგავები, სამწუხაროდ, სათოხნი კულტურების ზონაში გადმონაცვლეს. ეს კი დაუშვებელია, რადგან შეუფერებლად იზრდება ანტროპოგენული ეროზია — რის შედეგადაც ხელიდან გამოგვეცლება სავარგულები.

ისმება კითხვა, ვართ თუ არა მზად მრავალწლიანი კულტურების ფერდობებზე გასაშენებლად?

მრავალი წლის ქვლევებისა და პრაქტიკული გამოცდების შედეგად დამუშავებულია ფერდობების ათვისების ახალი ტექნოლოგია და შექმნილია ტერასორი, რომლის ერთი გვლეთ შესაძლებელი გახდა სასურველი პროფილის ტერასის მიღება.

გარდა ამისა გამოცდები გაიარა და კარგი შეფასება მიიღო პასიურ მუშაორგანოებიანმა გუთან-ტერასიორებმა 15-20 გრადუსის დახრილობის ფერდობზე ხნული ტიპის ტერასების შესაქმნელად. ასევე მეცნიერულად დასაბუთებულია მრავალწლიან კულტურათა ფერდობებზე გაშენების აგროტექნიკა.

ამ საკითხებზე დიდი და ნაყოფიერი სამუშაოებია შესრულებული მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის, მეხილეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის, ნიადაგმცოდნეობისა და მელიორაციის სამეცნიერო საკვლევ ინსტიტუტებში და სხვა ორგანიზაციებშიაც.

არ ბრის გამორიცხული, რომ სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა გარკვეულმა ნაწილმა, შეიძლება გვისაყვედუროს, რომ ტერასულმა მეურნეობამ (ძველი ტექნოლოგიით) საერთოდ არ გაამართლოო. ცალკეულ შემთხვევებში ეს ასეა და ვერც უარეყოფთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეროზიულად მოწყობილი ტერასები მეხეეთში მრავალი საუკუნეების მანძილზე ემსახურა სოფლის მეურნეობას და ასევე კვლავ მუდმივად შეიძლება იქნას გამოყენებული მრავალწლიანი კულტურებისათვის.

რატომ არის შეტაცირებული საზოგადოებრივი სექტორის ბევრ მეურნეობაში ყურძნის მოსავლიანობა? პასუხი ერთია — პირველ რიგში ეს ხდება მიწამოძვლდების მეტად დაბალი კულტურით. გაუზვიადებლად ვიტყვით, რომ ეს სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისათვის სამარცხვინო ლაქაა. ნუთუ რამოდენიმე საფეხურით მაღლა არ უნდა ვიდგეთ ჩვენ, სპეციალისტები? ისიც ხომ ფაქტია, რომ ჯერ კიდევ არარენტაბელურად ვიყენებთ სასუქებს, არ ვნერგავთ სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს, დაბალია მორწყვის კულტურა, მეტად ძნელად ვნერგავთ წარმოებაში მეცნიერების მიღწევებს და სხვა. აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა შესაძლებელია და ძირითადად დამოკიდებულია ჩვენი სპეციალისტების გარჯასა და უსარზე.

წეროვნის მევენახეობის საცდელ მეურნეობაში შრომის ანაზღაურება მიღებული მოსავლიანობის მიხედვით ხდებოდა. ამ წესის დანერგვით მეურნეობამ არნახულ შედეგებს მიაღწია. მეურნეობაში სრული ნიგბაყოფლობის საფუძველზე ჩამოყალიბებული იყო კომპლექსური რგოლები, შემდგარი მექანიზატორისა და ხელით მომუშავეებისაგან. მათ ქონდათ ტექნიკა და ვენახები, რასაც ხელშეკრულების წესით მრავალი წლის მანძილზე ამუშავებდნენ. რგოლის წევრები (როგორც მექანიზატორები, ასევე ხელით მომუშავენი) თვიურ ანაზღაურებას ღებულობდნენ დიფერენციერებული ავანსის სახით (მექანიზატორს და ბრიგადირს 10-15 პროცენტის დანამატი) და წლის ბოლოს ჩაბარებული ყურძნის შესაბამისად ღებულობდნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ანაზღაურებას. ასეთი ღონისძიების შედეგად მეურნეობაში ყურძნის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 1963 წლის 9 ცენტნერიდან 1966 წლისათვის 80, ცენტნერამდე გადიდდა (სარეკორდო მოსავლიანობა ჰექტარზე 162 ცენტნერი იყო). ცენტნერი ყურძნის თვითღირებულება 29,2 მანეთიდან 17 მანეთამდე შემცირდა. ყურძნის საერთო მოსავალი სამი წლის განმავლობაში 200 ტონიდან 8.885 ტონამდე გაიზარდა. შესაბამისად იმატა მეურნეობის ფინანსებმა, და რენტაბელობამ. თუ მეურნეობა წინა წლებში წამგებიანი იყო ასეთი ღონისძიების შედეგად დიდძალი მოგება მიიღო.

გაცილებით უკეთესი შედეგი ჰქონდა მეურნეობას მევენახეთა შრომითი დაინტერესებისა და შრომის ანაზღაურების საქმეში. ოგლის ცალკეულმა წევრებმა გარდა ავანსიოებული ხელფასისა, წლის ბოლოს პრემია-დანამატის სახით 2 ათასი მანეთიდან 6.6 ათას მანეთამდე მიიღო. ამის შედეგი იყო ის, რომ მეურნეობის 35 მუშაკი დაჯილდოდა მთავრობას მაღალი ჯილდოებით. ლენინის ორდენით—2, შრომის წითელი დროშის ორდენით — 9, საპატიო ნიშნის ორდენით — 13. მედლებით — 10, ხოლო ხელით მომუშავე რგოლის ბრიგადირს — ფ. ვ. სოხაშვილს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

თუ შრომას მოვაწესრიგებთ

მევენახეობის ეფექტიანობის შემდგომი გაუმჯობესების გზები

ნიადაგის ნაყოფიერებისა და ეროზიულ ფენებზე ნარგავების ფესვთა სისტემის ფორმირებისა და ზრდა-განვითარების ბიოლოგიურ-ეკოლოგიური ნაკლოვანებანი ბევრ ადგილებზე ჯერ-ჯერობით ბოლომდე ცოდნილ-შესწავლილ-ალაგებული ვერ ვიქნებოდა. ამ ბოლო ხანებში ეროზიულ ფენებზე ჩატარებული ბიოლოგიური ანალიზებიდან ცნობილია, ეროზიულ ფენებზე ნარგავების ფესვთა სისტემა ბევრ ადგილებზე ეროზიულ ფენებზე ნარგავების ფესვთა სისტემა ბევრ ადგილებზე ეროზიულ ფენებზე ნარგავების ფესვთა სისტემა ბევრ ადგილებზე ეროზიულ ფენებზე ნარგავების ფესვთა სისტემა ბევრ ადგილებზე ეროზიულ ფენებზე ნარგავების ფესვთა სისტემა ბევრ ადგილებზე ეროზიულ ფენებზე ნარგავების ფესვთა სისტემა ბევრ ადგილებზე ეროზიულ ფენებზე ნარგავების ფესვთ

პროგრესის საფეხურები

აკადემიკოსი ხსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წევრი, პროფესორი ნ. ხ. არმენიაკი.

ფლითიფლობით იზრდება საბჭოთა მეცნიერთა წვლილი ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ-ტექნიკური პოტენციალის განძეკეცებაში, ფართოდება მატერიალური წარმოების სხვადასხვა დარგში ფუნდამენტურ აღმოჩენათა გამოყენების სფერო. ეს დაადასტურა მაღალმა შეფასებამ, რომელიც საბჭოთა მკვლევარების მისაძართით ითქვა სკკპ XXV ყრილობის ტრიბუნიდან. 1976 წლის ლენინური პრემიების ლაურეატთა სია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ჩამოყალიბებაში მეცნიერთა სულ უფრო მზარი როლის კიდევ ერთი დამაჯერებელი მაგალითია.

დიდი ჯილდო წლეულს დამისახურეს ათობით თვალსაჩინო ნაშრომის ავტორებმა. საბჭოთა მეცნიერები, მსოფლიო საზოგადოებრიობა დიდი კმაყოფილებით აღიქვამენ იმ ცნობას, რომ ლენინური პრემია მიენიჭა გამოჩენილ საბჭოთა მკვლევარს, ორგზის სოციალისტური შრომის გმირს, აკადემიკოს ნ. ნ. სემიონოვს. მსოფლიო მეცნიერებაში მის სახელთან დაკავშირებულია ქიმიური ფიზიკის, მოლეკულების აღნაგობის ქიმიური საფუძვლების შემსწავლელი მეცნიერების განვითარება. მეცნიერებამ პირველად წამოაყენა განვითარებული და განუვითარებელი ჯაჭვური პროცესების თეორია, დადგინა, რა ბუნებისაა აქტიური ნაწილაკები, რომლებიც განსაზღვრავს ქიმიურ რეაქციას, — ატომები, რადიკალები, აგზნებული ნაწილაკები. ჯაჭვური თეორიისა და თბოდინამიკის თეორიის იდეებმა და მეთოდებმა, რომლებიც აკადემიკოსმა ნ. ნ. სემიონოვმა შეიმუშავა, მრავალმხრივი პრაქტიკული გამოყენება ბოვა და გახდა უკვე რეალიზებული და დაჩქარებენ სტადიაში მყოფი სამრეწველო პროცესების მეცნიერული საფუძველი, როგორიც არის ჟანგვა, კრეკინგი, პოლიმერიზაცია, კატალიზი.

დიდი წარმატებით დამთავრდა ციმბირელ გეოლოგთა ჯგუფის ძრავალი წლის კვლევა. მათ აკადემიკოს ვ. ს. სობოლევის მეთაურობით ახლახან დაამთავრეს კაპიტალური შრომა, რომლის ცალოგიები არ მოიძებნება მსოფლიო მეცნიერებაში. ნოვოსიბირსკელ მეცნიერთა მუშაობა საძიებელია დედამიწის წიაღის სხვადასხვა ღონეზე და სიღრმეში ჩამოყალიბებული წიაღისეულთა უმნიშვნელოვანესი ჯგუფების პროგნოზისა და აღმოჩენისათვის. ყოველ ქანი, ნოვოსიბირსკელ გეოლოგთა თეორიის თანახმად, თანდათანობით იძირება დედამიწის სიღრმეში, სულ უფრო მეტად განიცდის დედამიწის წიაღის სითბოსა და წნევის მაღალ ზემოქმედებას. ამასთან დაკავშირებით ქანების ეცვლებათ შედგენილობა, მათ შორის წარმოიშობა მინერალური ასოციაციები, რომლებიც დამახასიათებელია სხვადასხვა მნიშვნელობის ტემპერატურისა და წნევისათვის. აკადემიკოსმა ვ. ს. სობოლევმა კოლეგებთან ერთად თეორიულად გაიანგარიშა, თუ რა შედგენილობის ქანები წარმოიშობა სიღრმის სხვადასხვა დონეზე. ამის შედეგად მეცნიერებმა შეძლეს შეექმნათ სსრ კავშირის ტერიტორიის ეგრეთ წოდებული მეტამორფული ფაციესის რუკა, რომელიც ფუნდამენტური მეცნიერული სახელმძღვანელოა პერსპექტიული გეოლოგიური პროგნოზისათვის. ციმბირელმა მეცნიერებმა აგრეთვე დაბმარება გაუწიეს საზღვარგარეთელ გეოლოგებს ევროპისა და აზიის ანალოგიური რუკების შედგენაში. წარმოებს მუშაობა მსოფლიოს სხვა კონტინენტებისთვისაც ასეთივე რუკების შესადგენად.

„მზეზე ქოსმოსური სხივების აფეთქებებისა და გალაქტიკური ქოსმოსური სხივების მზიური მოდულაციის პროცესების სტატისტიკურული კვლევა“ — ასე ეწოდება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტისა და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ატომური ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილ მოსკოველ მეცნიერთა ნაშრომს, რომელსაც პრემია მიენიჭა. ნამუშევრების ამ ციკლში შესწავლის საგანი იყო გალაქტიკური სხივები, რომლებიც მზის სისტემაში გარედან აღწევს, აგრეთვე მზიური ა. რიბაკოვის ნამუშევრების ციკლში, რომელსაც ლენინური პრემია მიენიჭა, შესულია აგრეთვე საუკეთესო ნაშრომები: მონოგრაფია „რუსულ გამოყენებითს ხელოვნებაზე, გამოკვლევები რუსული ზღაპრებისა და თქმულებების შესახებ, მე-15 — მე-16 საუკუნეების მოსკოვის სახელმწიფოს რუსული რუკებისადმი მიძღვნილი წიგნი.

მედიცინის დარგში ლენინური პრემია მიენიჭა ორ ცნობილ საბჭოთა ფარმაკოლოგს — სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიოსებს ს. ვ. ანიჩკოვს და ვ. ვ. ზაკუსოვს ნეიროტრობულ ნივთიერებათა მოქმედების მექანიზმის შესწავლისადმი მიძღვნილ ნაშუშევართა ციკლისათვის და მაღალეფექტიანი საკურნალწამალო საშუალებების შექმნისათვის. ორივე მკვლევარმა ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი მოახმარა ნერვულ სისტემაზე ქიმიური ნაერთების მოქმედების შესწავლას.

მათი ორიგინალური თეორიის არსი ის არის, რომ ნეიროტროპული ნივთიერებანი შერჩევით გავლენას ახდენენ ნერვული უჯრედების ერთი წყვეიდან სხვებზე მათი შეხების წერტილებში, ანუ სინაპტიკურ კონტაქტებში აღგზნების ელექტროქიმიურ გადაცემაზე. მეცნიერებმა შეძლეს არა მარტო ახსნათ ამ ნივთიერებათა მოქმედების მექანიზმი, არამედ ქიმიკოსებთან ერთად შეექმნათ კიდევ ისეთი ახალი მაღალეფექტიანი სამკურნალწამლო საშუალებების მიმართული სინთეზის მეთოდიკა, რომლებიც გათვალისწინებულია გულის ინგარნის, გულის რიტმების დარღვევისა და სხვა დაავადებების მკურნალობისათვის. ამ პრეპარატების წარმოების უკვე ითვისებს საბჭოთა მრეწველობა, ხოლო ზოგიერთის ლიცენზიები უკვე გაიყიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ფინეთში.

მედიცინის მეცნიერების დარგში კიდევ ერთი წარმატება ხვდა წილად მოსკოველ ქირურგთა ჯგუფს, რომელსაც მეთაურობს აკადემიკოს ა. ნ. ბაკულევის სახელობის ჯერ ალისა და სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი ვ. ი. ბუროკოვსკი. ლენინური პრემიით აღინიშნა მახი გამოკვლევების ციკლი გულის ქირურგიაში ახალი მეცნიერული მეთოდების დანერგვის შესახებ. ავტორთა უშუალო მონაწილეობით შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში პირველი სპეციალიზებული ბაროსაოპერაციო, რომელიც აღჭურვილია ხელოვნური სისხლმიმოქცევის აპარატითა და ორგანიზმის ცხოველქმედების შენარჩუნების სხვა ავტომატიზებული სისტემებით. გულისა და სისხლძარღვთა ქირურგიაში ავტორთა მიერ დანერგილი ჰიპერბარული ოქსიგენაციის ახალი მეთოდი მკვეთრად იდიდებს ოპერაციის დროს ჟანგბადის შემშლელადმი ორგანიზმის გამძლეობას და უფუოდ დიდი წვლილია საბჭოთა ქირურგიულ მეცნიერებაში.

1976 წლის ლენინური პრემიის ახალი লაურეატების ორი ნამუშევარი მეცნიერებისა და პრაქტიკის ნაყოფიერი კავშირის შედეგია. ეს არის სპეციალისტთა ჯგუფის მიერ შექმნილი ქვეყნის ნავთობმომპოვებელი წარმოების ძირეული ტექნიკური განახლების მეთოდიკა, ავრეთვე ვანადიუმის წიდების გადამუშავების ახალი ტექნოლოგია, რომელიც შეიქმნა ტულს შავი მეტალურგიის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში. პირველი ნამუშევარის შედეგებმა გადამწყვეტი ზემოქმედება მოახდინეს ქვეყნის ყველა დიდ ნავთობსარეწში შრომის ნაყოფიერების ამაღლებაზე, შესაძლებელი გახადეს ნავთობის სარეწების საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადები 5-10-ჯერ შემცირებულიყო, 30-40 პროცენტით გაიაფებულყო მშენებლობის ღირებულება. რაც შეეხება ტულელ ხელმძღვან მეტალურგებს, მათ მსოფლიო პრაქტიკაში პირველად შექმნეს წიდიდან აშეიათი ლითონის — ვანადიუმის მიღების მეთოდიკა, რომელიც ეფექტიანია და არ აბინძურებს ატმოსფეროს. როგორც ცხობილია, ვანადიუმის წარმოებას მსოფლიოში ახლა აბრკოლებს ძირითადად პროცესის სიძვირე და წყლისა და ჰაერის გარემოზე მისი მავნე ზემოქმედება. (საკდესი).

23 აპრილი

ფაქტები მოვლენები პროგლემები

საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

მიტინგი დამასკოში

დამასკო. (საკდესი). აქ საბჭოთა კავშირის კულტურულ ცენტრში გაიმართა საზეიმო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 106-ე წლისთავს. მიტინგს დაესწრნენ სირიის არაბთა რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები, დიპლომატიური მისიების მეთაურები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. მიტინგზე გამოვიდა სირია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების აღმასრულებელი ბიუროს წევრი, კულტურისა და ეროვნული ორიენტაციის მინისტრის მოადგილე აბიბ ლუჯამი, რომელიც დაწვრილებით შეეხო ვ. ი. ლენინის როლს მეცნიერული სოციალიზმისა და მსოფლიო რევოლუციური აზროვნების განვითარებაში.

სირიელი ხალხი, თქვა ლუჯამმა, საბჭოთა კავშირის ხალხებთან და მთელ პროგრესულ კაცობრობასთან ერთად ზეიმობს დიდი ლენინის დაბადების დღეს. სირია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების სახელით მან მადლობა უძღვნა საბჭოთა კავშირს, რომელიც ყოველნაირად უჭერს მხარს სირიისა და სხვა არაბი ხალხების ბრძოლას ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, იმპერიალიზმის, სიონიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ, სიონისტი აგრესორების მიერ ოკუპირებული არაბული ტერიტორიების განთავისუფლებასა და პალესტინის არაბი მოსახლეობის კანონიერ ეროვნულ უფლებათა აღდგენას.

საკდესი

ყოველი მხრიდან

ნიუ-იორკი

● **ამერიკის ქალაქ იტაკაში (ნიუ-იორკის შტატი) გრძელდება კორნელის უნივერსიტეტის სტუდენტთა მჯდომარე გაფიცვა.**

ასზე მეტმა მოსწავლემ დიაკავა სასწავლებლის ადმინისტრაციული კორპუსი ამის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ უსამართლოდ დაითხოვეს ზანგი პერბერტ პარკერი, ამ პრივილეგირებული უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ერთ-ერთი თანამშრომელი.

ტოკიო

● **ტოკიო-მოსკოვ-კოპენჰაგენის საჰაერო ხაზი აღნიშნავს თავის ხუთწლეულს.**

ამ წლების მანძილზე რეგულარული ყოველკვირეული რეისებით ტოკიოდან კოპენჰაგენში აეროფლოტმა გადაიყვანა 18 ათასზე მეტი მგზავრი, გადაზიდა 630 ტონაზე მეტი ტვირთი. დაახლოებით ასეთივე მოცულობის ტვირთზოდა შეასრულა ავრეთვე აეროკომპანია „სკანდინავიენ ეირლაინზმა“. ამჟამად ტოკიოდან ევროპაში მოსკოვის გავლით აეროფლოტს თვითმფრინავები ყოველკვირეულად აწყობენ 7 რეგულარულ რეისს.

ლაგოსი

● **ნიგერიის მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა თაობის აღზრდას ეროვნული ერთიანობისა და საზოგადოებრივი ინტერესებისადმი ერთგულების ხულისკვეთებით.**

როგორც განათლების კომისარმა ამადუ ალიმ განაცხადა, მთავრობას განზრახული აქვს ნიგერიის თვითეული შტატში ააგოს ორი კოლეჯი ქვეყნის სხვადასხვა ტომისა და ეროვნების წარმომადგენელთა ერთად სწავლისათვის.

ტანანარივე

● **მადაგასკარის ერთ-ერთი პროვინციის — ტამატავეს საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა კავშირის საპროვინციო-კვლევითი გემის „აკადემიკოს კურჩატოვის“ ჩამოსვლამ.**

ტამატავეს მცხოვრებნი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ეწვივნენ გემს და გაეცნენ კვლევით სამუშაოებს, რომელებსაც ატარებენ ამ მცურავ ლაბორატორიაში საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და შვეიცის მეცნიერები.

მოკლედ

მსოფლიოს ახალი ამბები

განიარაღების კომიჯეჯში

საგანგებო სესია მუშაობა დაამთავრა

ჟენევა. (საკდესი). მუშაობა დაამთავრა განიარაღების კომიტეტის სავაზაფხლო სესიამ. მან განიხილა შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა უმრავლესობა შეტანილია საბჭოთა კავშირის ინიციატივით. სესიის მონაწილეთა უმრავლესობის ცენტრში იყო წინადადებანი განიარაღების დარგში, რომელიც წარმოუენებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში სკკპ XXV ყრილობაზე.

საბჭოთა კავშირმა წარადგინა პროექტი შეთანხმებისა მასობრივი მოსპობის იარაღის ახალ სახეობათა და ასეთი იარაღის ახალ სისტემათა შემოშაკებისა და წარმოების აკრძალვის საკითხზე, თქვა კომიტეტის საბოლოო სხდომაზე გამოსულმა სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. როშჩინმა. ამასთან მან შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფო თავს არიდებს ამ პრობლემის გადაჭრაში მონაწილეობას.

კომიტეტმა დიდი უურადღება დაუთმო სსრ კავშირის ინიციატივით შეტანილი წინადადების განხილვას, რომელიც ითვალისწინებს აიკრძალოს გარემოზე ზეგავლენის საშუალებათა სამხედრო ან ყოველგვარი სხვა მტრული გამოყენება. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ითქვა „გამოთქვა, რომ ამ საკითხზე კონვენციის ტექსტი, რომლის პროექტი წარმოადგინეს საბჭოთა კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, შეთანხმებულ იქნება 1976 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ გამოთქმული სურვილის შესაბამად.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა გააქტიურდეს კომიტეტის მუშაობა ქიმიური იარაღის აკრძალვის პრობლემის განსახილველად. მან მოაგონა დამსწრეთ აგრეთვე, რომ სსრ კავშირმა წამოაყენა წინადადება ტოქსიური იარაღის ნაკოლოგიის ლიბვანში

ცდილობენ მიაღწიონ დაძაბულობის შენელებას

ბეირუთი, (საკდესი). უმაღლესი სამხედრო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიან ლიბანის, სირიისა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენლები, განაგრძობს მეცადინეობას, რათა მიაღწიოს დაძაბულობის შენელებას ბეირუთში. მიღწეული შეთანხმების ფარგლებში გუშინ ლიბანის დედაქალაქის ტრადიციულად „ცხელ“ წერტილებში შეიყვანეს პალესტინის განთავისუფლების არმიის ქვეგანაყოფები კონტროლის გასაწევად, თუ როგორ ასრულებენ მოწინააღმდეგე მხარეები შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მიუხედავად ამისა, დღის განმავლობაში დედაქალაქის ზოგიერთ ნაწილში გრძელდებოდა ხროლა მძიმე იარაღის გამოყენებით.

უმაღლესმა სამხედრო კომიტეტმა გამართა მორიგი სხდომა, რომელიც მიმდინაოეობდა პრემიერ-მინისტრის რ. კარამეს თავმჯდომარეობით. ამ სხდომას პირველად ესწრებოდა ეროვნულ-ლიბერალური პოოტიის წარმომადგენელი, რომელსაც მეთაურობს ყოფილი პრეზიდენტი, ახლა კი მინაგან საქმეთა მინისტრი კ. შამუნი. მიღებულია გადაწყვეტილება ოთხი ქვეკომიტეტის ჩამოყალიბების შესახებ, რომლებსაც ევალებათ თვალყური ადევნონ ცეცხლის შეწყვეტას ლიბანის ეთიოპიის ნაწილში და ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში.

პრემიერ-მინისტრმა რ. კარამემ სხდომის დამთავრების შემდეგ განაცხადა, რომ ძნელია ქვეყანაში უშიშროების უზრუნველყოფის მიღწევა, სანამ პრეზიდენტი ს. ფრანჯიე არ დამტკიცებს კონსტიტუციის შესწორებას, რომელიც ითვალისწინებს პრეზიდენტის ვადამდე არჩევნებს.

კონფერენცია დამთავრდა

ბაკარი. (საკდესი). სენეგალის დედაქალაქში მუშაობა დაამთავრა აფრიკისა და არაბული აღმოსავლეთის ქვეყნების ნაგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციამ. 60-ზე მეტი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა მიიღეს აფრიკა-არაბეთის თანამშრომლობის პრინციპების დეკლარაციისა და ამ დარგში მოქმედების პროგრამის პროექტები. ორივე დოკუმენტს მოსაწონებლად წარუდგენენ აფრიკისა და არაბული აღმოსავლეთის ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებს თანთბრს.

აფრიკისა და არაბეთის ქვეყნები, ნათქვამია დეკლარაციის პროექტში, ერთსულოვნად და გადაჭრით გმობენ იმპერიალიზმს, კოლონიალიზმს, ნეოკოლონიალიზმს, სიონიზმს, აპარტეიდსა და ყველა სხვა ფორმის რასობრივ დისკრიმინაციას.

ბონელ ბერძენ ტერორისტთა ბანდა

ბონი. (საკდესი). ბონელ ბერძენ ტერორისტთა ბანდა ბომბებს აფეთქებენ ბერძნული ეროვნული დამოუკიდებლობის პოლიტიკაზე. ამასთან დაკავშირებით მან გადაჭრით დაგმო დასავლეთის ზოგიერთი წრეების ცდები, რომლებიც არჩევნების წინ ცდილობენ ზეგავლენა მოახდინონ პორტუგალიელ ამომრჩევლებზე. იქნებიან თუ არა კომუნისტები პორტუგალიის მთავრობაში, თქვა მან, ეს პორტუგალიელი ხალხის საქმეა და სულაც არ ესაქმება არც ერთ სხვა სახელმწიფოს.

ა. კუნიალმა, კერძოდ, ნატოს სამხედრო-საზღვაო მანევრები, რომლებიც 26 აპრილს იწყება პორტუგალიის ნაპირებთან, დაახასიათა როგორც პორტუგალიელ ამომრჩევლებზე ზემოქმედების ფორმა.

პორტუგალია — რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად

პორტუგალიელ კომუნისტთა მოწოდება

ლისაბონი, (საკდესი). პორტუგალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურმა კომისიამ გამოაქვეყნა მიმართვა ამომრჩევლებისადმი, რომელშიც ყველა დემოკრატს, ანტიფაშისტსა და პატრიოტს მოუწოდა აქტიური მონაწილეობა მიიღონ პარლამენტის მომავალ არჩევნებში. ხმა მისცენ დემოკრატიისა და თავისუფლებას, პორტუგალიელი ხალხის კეთილდღეობას, სოციალურ პროგრესს.

მასობრივი ხმის მიცემა კომპარტიის კანდიდატებისათვის, აღნიშნულია მიმართვაში, უზრუნველყოფს პირობებს, რომ შეიქმნას მემარცხენე ძალების მთავრობა პორტუგალიის კომპარტიის მონაწილეობით, უზრუნველყოფს აგრეთვე იმას, რომ ახალმა მთავრობამ თანამიმდევრულად განახორციელოს დემოკრატიული პოლიტიკა მოქალაქეობრივ თავისუფლებათა და რეგულუციის სხვა ისეთ მონაპოვართა დაცვაზედ, როგორიცაა ნაციონალიზაცია, აგრარული რეფორმები, მუშური კონტროლი.

მსოფლიო პარლამენტის მემარცხენე უმრავლესობას და მემარცხენე ძალების მთავრობას ძალუძთ მოუტანონ მშვიდობა, დემოკრატია და პროგრესი პორტუგალიელ ხალხს, უზრუნველყონ ამას წინათ მიღებული პროგრესული კონსტიტუციის მტკიცე დაცვა და განუხრელი შესრულება, წინააღმდეგნენ პორტუგალიის ეკონომიკაში ჩახვეული კაპიტალისტებისა და მემამულეთა პოზიციების აღდგენას.

პორტუგალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ა. კუნიალმა პრესკონფერენციაზე გამოსვლისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ „კომპარტიის კანდიდატთა მასობრივი მხარდაჭერა არჩევნებში იმის ძირითადი პირობაა, რომ შეიქმნას მემარცხენეული თავრობა. ბევრი დემოკრატი და ანტიფაშისტი, მარიალია, კომუნისტები არ არიან, მაგრამ მაინც გვიჭერენ მხარს ჩვენს ღონისძიებებში, რომ შეიქმნათ მემარცხენეთა უმრავლესობა, დასძინა მან. ა. კუნიალმა აღნიშნა, რომ კომუნისტები კვლავ უჭერენ მხარს სოციალისტებსთან კავშირს იმ პირობით, თუ კავშირის მონაწილენი მემარცხენეულ პოლიტიკას განახორციელებენ.

გენერალურმა მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ არჩევნები პირველი დიდი პოლიტიკური აქტია, რომელიც ახალი კონსტიტუციის შესაბამისად ეწყობა, და ამასთანავე თქვა, რომ ჯერ კიდევ ქვეყნის ყველა რაიონში არ არის შექმნილი პირობები ნამდვილად თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების მოსაწყობად.

ა. კუნიალმა განაცხადა, რომ კომპარტიის დღევანდელი პოლიტიკა შეესაბამება პორტუგალიელი ხალხის ატარიოტულ მისწრაფებებს და ჭეშმარიტი ეროვნული დამოუკიდებლობის პოლიტიკაა. ამასთან დაკავშირებით მან გადაჭრით დაგმო დასავლეთის ზოგიერთი წრეების ცდები, რომლებიც არჩევნების წინ ცდილობენ ზეგავლენა მოახდინონ პორტუგალიელ ამომრჩევლებზე. იქნებიან თუ არა კომუნისტები პორტუგალიის მთავრობაში, ეს ეს ხალხის საქმეა და სულაც არ ესაქმება არც ერთ სხვა სახელმწიფოს.

ა. კუნიალმა, კერძოდ, ნატოს სამხედრო-საზღვაო მანევრები, რომლებიც 26 აპრილს იწყება პორტუგალიის ნაპირებთან, დაახასიათა როგორც პორტუგალიელ ამომრჩევლებზე ზემოქმედების ფორმა.

„დაემაგრუნეთ რა შინ!“

ვენა. (საკდესი). „მინდა დაბრუნდე შინ, . ჩემიანებთან, შვილებთან და შვილიშვილებთან“ — წერია პლაკატზე, რომლითაც ვენის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე გამოვიდა ილიკო მოშიაშვილი, ამ რამდენიმე წლის წინათ რომ წავიდა საბჭოთა კავშირიდან ისრაელში, და ახლა ავსტრიის დედაქალაქში იმყოფება. „მოშიაშვილმა, — წერს გაზეთი „კურიერი“, — ვერ აიტანა ახალი ცხოვრების პირობები და ამედგაცრუებულმა გადაწყვიტა დაბრუნდეს საბჭოთა კავშირში, თავის შვილებთან“.

კაპიტალის ქვეყნებში

რეაქციული კანონის წინააღმდეგ

ვერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება „რადიალური ელემენტების“ შესახებ, რომლის შესაბამისად პროგრესული შეხედულებების ადამიანები აშკარა დისკრიმინაციას განიცდიან, და მათ განათლების სისტემასა და საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში მუშაობას უკრძალავენ, ევროპის არაერთი ქვეყნის დემოკრატიული ძალების აღშფოთებას იწვევს.

საფრანგეთის, ბელგიის, გფრ-ის, ნიდერლანდის და ლუქსემბურგის სხვადასხვა ქალაქების ათი ათასამდე მცხოვრები გამოვიდა სტრასბურგის ქუჩებში, რათა პროტესტი გამოეთქვათ დასავლეთ გერმანიის მთავრობის რეაქციული კანონის წინააღმდეგ.

სურათზე: დემონსტრანტები სტრასბურგის ქუჩებში. წინა პლანზე მოდიან კოლნელი და ბონელი (გფრ) მასწავლებლები, რომლებიც ახალი კანონის ძალით დაითხოვეს.

ცბ — ახალი ამბების სააგენტოს ფოტო.

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ლაოსის დოკუმენტებს

22 აპრილს კრემლის დიდ სასახლეში ვაიმართა საბჭოთა კავშირ-ლაოსის დოკუმენტების ხელმოწერა.

საბჭოთა კავშირ-ლაოსს ერთობლივ განცხადებას ხელი მოაწერეს:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა;

ლაოსის მხრივ — ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა კ. ფომვიხანმა.

სსრ კავშირის მთავრობისა და ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის შეთანხმებას ხელი მოაწერეს:

სსრ კავშირის მთავრობის სახელით — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ;

ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით — ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა პ. სიპასუტმა.

სსრ კავშირისა და ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სავაჭრო ხელშეკრულებას და სსრ კავშირისა და ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საქონელბრუნვისა და გადასახდელების შეთანხმებას ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრივ — საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ნ. ს. პატოლიჩევმა;

ლაოსის მხრივ — ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრმა მ. სასომფენგმა.

სახელმწიფო გეოლოგიური სამსახურის შექმნაში ლაოსის ხელშეწყობის შესახებ სსრ კავშირის მთავრობისა და ლაოსის სახალხო-დემოკრატიული . მთავრობის ოქმს ხელი მოაწერეს: სსრ კავშირის მთავრობის დავალებით — საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ა. სკაჩკოვმა; ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დავალებით — ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ა. სკაჩკოვმა;

ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დავალებით — ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ნ. ს. ბოლიკინმა.

ვინ აქეზებს კუბელ კონტრრევოლუციონერებს

რა თქვა ამერიკის დაზვერვის ყოფილმა აგენტმა

ჰავანა, (საკდესი). აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოსვლისას ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილმა აგენტმა მანუელ დე არმასმა მოიყვანა დამაჯერებელი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ ამერიკის შეერთებული შტატების ამ სადაზვერვო ორგანოს დანაშაულებრივ საქმიანობას სოციალისტური კუბის წინააღმდეგ.

1969 წლის მ. დე ნრმასი დაუქირავებია ამერიკის დაზვერვას და ბოლო დრამდე ახორციელებდა უშუალო კავშირს ამ ჯაშუშურ ორგანიზაციასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მოკლათებულ კონტრრევოლუციონერ კუბელ ნაძირალებს შორის.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, განაცხადა მან, მთლიანად უწევს კონტროლს და აფინანსებს კუბელი ემიგრანტი კონტრრევოლუციონერების ჯგუფს. არ არის კუბის წინააღმდეგ მიმართული დივერსიული აქტი, რომელიც სამმართველოს არ სცოდნოდა ან მისი ლოცვა-კურთხევით არ განხორციელებულიყო.

მ. დე არმასმა ჩამოთვალა ამერიკის დაზვერვის აგენტები, რომლებიც ლათინური ამერიკის სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედებენ, გამოქვაბა მათი ვინაობა, მისამართები და თქვა, თუ როდის ხვდებოდა მათ.

დაახასიათა რა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელობით მოქმედი კონტრრევოლუციური ჯგუფების საქმიანობა, მ. დე არმასმა აღნიშნა, რომ ისინი დიდი ხანია ამბობენ თავს დაესხან კუბელ ხელმძღვანელებს, ილაპარაკა კუბის დიპლომატიური და საზღვარგარეთის სხვა წარმომადგენლობის წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტების ორგანიზაციაზე, აგრეთვე მათს ცდებზე — არ დაუშვან კუბის ურთიერთობის ნორმალური განვითარება სხვა ქვეყნებთან. მაგალითად, თქვა მან, ბანდიტური ორგანიზაციის „ალფა-66“-ის წევრი კონტრრევოლუციონერები აპირებდნენ მოეწყოთ კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო, როცა იგი ჩილეში იყო ჩასული 1971 წელს. ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ მოამზადა ისინი დიპლომატთა ბასპორტებითა და საჭირო აღჭურვილობით. ამ უწყებასთან მჭიდრო კონტაქტით მუშაობდნენ ავრეთვე დიეერსანტთა ჯგუფის ორიენტაციაში გადასხმის გეგმა, რომელიც ასევე ფ. კასტროს მოკვლის მიზნით ეწყობოდა.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ წაქეზებული ბანდიტები ბომბებს აფეთქებენ კუბის საელჩოსთან მთელ რიგ ქვეყნებში, მეკობრულად ესხმოდნენ თავს კუბელ მეგზაურებს, რომლებიც თვეზს იჭერდნენ საერთაშორისო წყლებში.

ამჟამად, თქვა მ. დე არმასმა, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ავენტები ვენესუელის მთავრობის ზურგს უკან აქტიურ საქმიანობას ეწევიან, რათა ამ ქვეყანას გაუწყვეტინონ დიპლომატიური კავშირი კუბასთან. ისინი საზღვარგარეთ აწყობენ ცილისმწამებლურ კამპანიებს კუბის წინააღმდეგ, რათა გაუფუჭონ ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან.

რასიზმის აღსაკვეთად

ნიუ-იორკი. (საკდესი). აქ მიმდინარე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოს მე-60 სესიის მონაწილეებმა დაიწყეს დღის წესრიგის აქტუალური პუნქტის — ყველა ფორმის რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის აქტუალური პუნქტის განხილვა. სესიამ უნდა შეასრულოს გაერთიანებული ერების მიერ მისთვის დაკისრებული დიდმნიშვნელოვანი ამოცანა: გამომუშაოს ყველაზე ეფექტიანი გზები და კონკრეტული ღონისძიებანი რასიზმის, რასობრივი დისკრიმინაციისა და აპარტეიდის აღკვეთისათვის, დეკოლონიზაციის დამთავრებისათვის, ჩაგრულ ხალხთა თვითგამორკვევის უზრუნველყოფისათვის.

„რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანია მისი შექმნის მოვენტიდანვე“, — ხაზგ

24 აპრილი ახალგაზრდობის სოლიდარობის საერთაშორისო დღე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მრავალათასიან კოლექტივში ბევრი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელია. ისინი ქართველ ახალგაზრდებთან ერთად მეცნიერებათა საფუძვლებს ეუფლებიან. სურათზე (მარცხნიდან): ქართველი — მ. მირცხულავა, ფრანგი — ჟ. ტრუკი, სომეხი — ა. გრიგოროვი, ესტონელი — ი. კლაუ, გერმანელი — ვ. გრუპი, კანადელი — ნ. იუნო, ჩეხი — პ. ჟიგო და ქართველი მ. ჯავახიშვილი.

ს. კილაძის ფოტო.

„ნერგები" ლენინგრადში

ამას წინათ ლენინგრადში „ოქტიაბრსკის" დიდ საკონცერტო დარბაზში ამბერკავკასიის რკინიგზის სახლთან არსებულმა ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ნერგებმა" კონცერტები გაბმართა.

„ოქტიაბრსკის" დირიჟიორმა საპატიო სიგელით დაჯილდოვა პატარა ქართველი მუსიკოსები, სადაც წერია: „ბავშვობა თქვენს ჩინებული სიმღერებისა და ეკვეტებისათვის, თქვენი ნაფილი ღიმილისათვის, ამ სიხარულისათვის, რომელიც თქვენ, ნორჩ ლენინგრადელებს და ჩვენი ქალაქის სტუმრებს ბრინჯეთ. თქვენ ლენინგრადში ათასობით მეგობარი შეიძინეთ. გისურვებთ აღიზარდოთ კანაბრთელნი, ბედნიერნი, და კარგი სწავლითაც თავი ისახელოთ. დაე, თქვენ სახეზე მუდამ იყოს ღიმილი, მეგობრობა ხომ ღიმილით იწყება!"

ქართველმა ბავშვებმა დაალეგრეს ლენინგრადის ღირსშესანიშნავი ადგილები, ესტუმრნენ ა. ოდანოვის სახელობის პიონერთა სასახლის ნორჩ მასპინძლებს და თავიანთი შუმოქმედება გააცნეს.

ლენინგრადის რადიომ „ნერგების" მთელი კონცერტი ფირზე ჩაწერა.

ე. ნარსია.

„არგონავტიკა" ქართულად

გამომცემლობა „მეცნიერებამ" გამოსცა გამოჩენილი ბერძენი პოეტისა ა. ჟ. ეფიერის ალოლონიოს როდოსელის დიდი ეპოსის „არგონავტიკის" პირველი ქართული პოეტური თარგმანი (მთარგმნელი ბ. გელოვანი).

წიგნი გამოვიდა აკ. ურუშაძის რედაქტორობით, წინასიტყვაობითა და ლექსიკონით. წიგნს ერთვის ავრეთვე თარგმანელის წინათქმა და შენიშვნები.

„არგონავტიკა" ილუსტრირებული და მდიდრულად გაფორმებულია (მხატვარი ა. კანდელაკი).

წიგნის ტირაჟია 40.000, ფასი — 2 მან. 50 კაპ.

„ვეფხისტყაოსანი" ოსურ ენაზე

ცხინვალი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ „ირისტონმა" ძვირფასი საჩუქარი უძღვნა ოსმაოთხელს. გამოუშვა გენიალური შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის" ახალი თარგმანი. ცნობილმა ოსმა პოეტმა გიორგი ბესაოთაევმ მრავალი წლის დაძაბული შრომის შედეგად შესძლო რუსთაველის ოსური ენაზე აყოფება. წიგნი გამოცემულია თანამედროვე პოლიგრაფიულ დონეზე, დართული აქვს ზარის ილუსტრაციები. რედაქტორია პოეტი ლ. ხარებათი.

სხვა გაზეთებიდან

შემთხვევა ლიმაში

უჯვეულო შემთხვევა მოხდა ანაკაფინათ პერუს დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზე. ოთხი წლის ბიჭი ნილტონ ურბანო, რომელიც გატაცებული იყო თამაშით, გადმოვარდა მე-11 სართულის ფანჯრიდან. ბავშვის დაღუპვა თითქოს გარდუვალი ჩანდა. მაგრამ, რაც მოხდა შემდეგ, წერდნენ ადგილობრივი გაზეთები, საკუთარ თვალით ჰკვავდა: შიშისაგან გაქვავებულ გამვლელთა თვალწინ ბიჭუნას უკანასკნელ წუთზე ხელები შეაშველა შუახნის მამაკაცმა. იგი აღმოჩნდა მოხეტიალე ცირკის მსახიობი პედრო ხაიო. ბავშვი და მისი გადარჩენელი მხოლოდ მსუბუქად დაშავდნენ, იუწყება ჟურნალი „ბტა". (ბულგარეთი).

ფარსულის ფურცლებიდან

კომედია ტრაგედიისა

ვეგრძოლოთ მავნე წეს-ჩვეულებებს

დიდი ქართველი მწერლები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და სხვები თავიანთ შემოქმედებაში თანმიმდევრულად ებრძოდნენ ალაფში გავრცელებულ მავნე ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს. ჩვენ აქ მოკლედ შეკუხებით აკაკი წერეთლის იმ დიდ ღვაწლს, რომელიც პოეტს მიუძღვნია ჩვენს ხალხში გავრცელებულ დრომოჭმულ მავნე წეს-ჩვეულებებთან ბრძოლაში.

აკაკის ფელეტონები, რომლებიც „ცხელ-ცხელი ამბების" სათაურით იბეჭდებოდა სხვადასხვა დროს „ივერიაში", „დროებაში", „კვლაში", „ცნობის ფურცელში" და სხვა ეროვნულ-გაზეთებში, ჩვენი ერის ძალად საჭირბოროტო საკითხებს ეხებოდა. და თვით სათაურიც „ცხელ-ცხელი ამბები" ამას მოწმობს. მავნე წეს-ჩვეულებების შესახებ პოეტი წერდა: „დაკარგეს დღეს თავიანი ხასიათი და გარეგან ფორმასა ვხედავთ ჩვენში და შინაარსი კი სულ სხვაა". აი რას გულისხმობდა აკაკი ამ შინაარსში: „იმდენი შემოუვიდოდა ჩვეულებისაებრ „გადასახურავი", თუ პურ-ღვინოთი, თუ ხორაგით, თუ ფულად, რომ მკვდარსაც დამარხავდა და კიდევ ბევრი სხვა დარჩებოდა, რომ ძღვდელი, მონახონი და გლახები გაეხატუმრნიან".

ასეთი მამხილებელი და სარკაზმით აღსავსე სტრიქონებით ებრძოდა აკაკი საზოგადოებაში გავრცელებულ მავნე წეს-ჩვეულებებს, რომლებსაც ხალხისათვის ეკონომიური ზიანის მეტი არაფერი მოაკონდა. ძალიან ხშირად ქელეხები ჩხუბითა და მკვლელობით მთავრდებოდა. სამგიერთოდ, როგორც პოეტი წერდა, „მოხარშული ხორცს ძვდელი სიამოვნებით არჩევს და ალაგებს ხურჯინში და თანაც თვალით ანიმნებს ღიკინს, „გასჭიმეო", მიაკვლს ტროხის ბარკალი, ორივე წინა ბეჭი, გულ-ღვიძლი და თავი, ამასთანაც რამდენიმე ცალი პური, მისი შესაბამისის ღვინით. ეს რომ გაათავა, მერე იჯრის საყოფს მიაყო ხელი და იქაც იჯერა გული. ხალხი გულმოსული უყურებდა მდეგელს და თანაც ჩურჩულებდნენ: „ეს რა სვაკი მოგვიგია! ამის გაძღომას რომ არა ეშველა რა".

აკაკის ღრმად ჰქონდა შესწავლილი ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულება. პოეტი აკვირდებოდა ისტორიულ გენეზისს, ეძებდა, თუ საიდან იყო შემოსული ესა თუ ის ჩვეულება.

„ეს ჩვეულება, — წერს პოეტი, — უსაქართველოში არის შემოტანილი უხსოვარ დროიდან: ჰობერეოს თმზუელებაში „ილიადაში" რომ წაიკითხოთ, ტროადას დარღვევის დროს, თუ როგორ მთიქმით სტირიან ქალქტორს, ასე გეგონებათ, რომ ეს სწორედ ჩვენი საქართველოს მოთქმითი ტირილიაო. მართლაც რომ არავითარი განსხვავება არ არის. დიახ, ძველათ ეს ჩვეულება სწორედ რომ აზრიანი და მოსაწონი ყოფილა ჩვენში. მაგრამ დღეს კი აღარაფერია".

პოეტს შემოვლილი ჰქონდა მთელი საქართველო და იცოდა, რომელ კუთხეში რა ჩვეულებას მისდევენ და ასრულებდნენ. „მე დავსწერი, — წერს პოეტი, — ან ჩვეულების ასრულებას: დაქფიზ-ს საფლავზე ნიმბანი, იტირეს დილიდან შუადამამდე ძველი მკვდარი. შემდეგ მობრუნდნენ ოჯახში და ეშველოდ დაწყვიტეს პირუტყვი. რადგან მიცვალებული ქალი იყო, ამისათვის მხოლოდ დედლები, ნუხვები და ძროხები დაუკლეს და თუ კაცი ყოფილიყო, მაშინ მამლებს, ვერძებს და ხარებს დაუკლავდნენ".

დიდ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს თავის ფელეტონებში მრავალი მაგალითი მოაყვანს იმისა, თუ რა სასაცილო მდგომარეობაში აყენებს ქელეხის მოსაწვლე ხალხს იქ მსახიობობა. პოეტი წერს: „მე დავესწარი ერთის ქელეხის, რომელმაც მეტად გამაკვირვა, მიცვალებული ჩინზე ყოფილიყო წარდგენილი, მაგრამ სიკვდილს მოეხწერო და როგორც დედამამა, ისე ყველა მომტირალები თავზედ დასძახოდნენ: „ნეტავი ჯერ ჩინი მაინც მიგეღო, ისა მოსწრებოდი და მერე მოძკვდარიყავიო!"

„ალიუეაში" სხვა დროს რომ კარგი მაირება იცოდით, — ამბობს მღვდელი, — ჩემს საამოდ და მიცვალებულის სასარგებლოდ, დღეს რა გემართებთ? ჩემი გაკიცხვა მიცვალებულსაც კი ეწყინება! არ გრცხვენიათ? სირცხვილია, შვილებო! სირცხვილია, რას სჩადიხართ? რასა სცოდავთ? — წერს პოეტი და შემდეგ ლექსით განაგრძობს:

„თუ კი შენ არ შეგრცხვება,
ჩვენ რიღახი გვრცხვენია!
ერთი ძროხა შესჭამე,
მოინდომე ძღვენია...
სვავივით ჭამ, ბატივით სვამ,
ხახა დაგიბჩენია.
ჩხირის სანთლით წვერს
ირეკავ,
როგორ არა გრცხვენია?"

პოეტის აზრი ყველგან, პოეტურ თუ კრიტიკულ-პუბლიცისტურ ნაწარმოებებში ღრმაა და ამავე დროს კონკრეტულია. მის პუბლიცისტურ წერილებსა და ფელეტონებშიც მთელი XIX საუკუნე ისე ჩანს, როგორც პოეტის ხახგრეულ ნაწერებში. აკაკის ფელეტონებში სიტყვის ისეთივე მხატვრული ალა, სიღრმე და სილამაზეა ჩაქსოვილი, როგორც მის პოემებსა და ლირიკულ შედევრებში.

— „შვილებო, — ეუბნება მღვდელი მიცვალებულის პატრონს, — ხო იციო, რასაც მე დღეს აქ შევჭამ, ის იქ იმ თქვენს მკვდარს მიუვა, აქ თუ გამადღობთ, ისიც იქ გადღება და თუ არა და — არა".

აკაკი თვითონაც იბრძოდა ძველი, მავნე ტრადიციების წინააღმდეგ და ახალგაზრდობასაც მოუწოდებდა მტკიცედ გაელაშქრა იმის წინააღმდეგ, რასაც ხალხისათვის სიცრუის მეტი არაფერი მოაქვს: „შეჩვეულები იყოს ის ახალგაზრდა; რომელიც ხვდეს საზოგადოებაში ცუდს, მავნე რასმე მოვლენას და არ ამიელს უშიშრად და დაუფარავად".

პოეტი არა მარტო თეორიული ხასიათის წერილებით ებრძოდა დრომოჭმულ თვალ ადათ-წესებს, არამედ ლექსებითაც სასტიკად კიცხავდა:

არა, არა, მე ვერ მოვსდევ
უგნურ წეს და ჩვეულებას!..
თაყვანს ვერ ვსცემ უმეცრებას
მის კანონს და მის უფლებას!

დიდი აკაკი მთელი თავისი მხატვრული შემოქმედებით და ბრწყინვალე სარკაზმით დაწერილი ფელეტონებით ფოფსავ ჩვენთან არის და ამხელს ყველაფერს, რაც სამარცხვინოა ერისათვის, თვითეული ადამიანისათვის.

ალ. სიგუა.

ჭადრაკში სსრ კავშირის თასზე

ლიდერთა დუელი

ნ ტურის შემდეგ გუნდების ლიდერების მდგომარეობა ასეთი იყო: 3,5 ქულა მოაგროვა კორჩნოიმ („ტრუდი"), სამ-სამი — ტალმა („დინამო") და პეტროსიანმა („სპარტაკი"), 2,5 — კარპოვმა (ცდსა), მაგრამ მან ერთი პარტიით ნაკლები ითამაშა. 2,5 ქულა მოაგროვეს სმისლოვმა („ბურევესტნიკი"), ლუტიკოვმა (სოფლის მოკადრაკეთა ნაკრები) და რომანიშინმა („ავანგარდი"). თვითეულ მათგანს ორი დასკვნითი ტურის წინ შეეძლო პირველი პრიზისათვის ბრძოლა. ჩამორჩა მხოლოდ ბრონშტეინი („დინამო"), რომელმაც 3 შეხვედრიდან ნახევარი ქულა მოაგროვა. 2 პარტია მის ნაცვლად ითამაშა ანიკაევმა.

მაყურებლები დიდი ინტერესით მოელოდნენ სმისლოვ-კარპოვს, რომანიშინ-კორჩნოის, ტალ-პეტროსიანისა და ლუტიკოვ-ბრონშტეინის შეხვედრებს.

თუ პირველ დაფაზე გამარჯვებულს უკანასკნელი ტური გამოავლენს, მეორე დაფაზე მეტოქეები ჩამოერთოვა ახალგაზრდა დიდოსტატს გულკომ („ბურევესტნიკი"). ამ „დამკვრელურმა დაფამ" „ბურევესტნიკს" 5 შეხვედრიდან 4.5 ქულა მოუტანა. ლიდერ გუნდს 5 ტურში 4 ქულა შესძინა საერთაშორისო ოსტატმა ალექსანდრიამ.

„ბურევესტნიკის" „წამყვანი პოზიცია მტკიცეა, მაგრამ ნათელი არ არის ვინ მოიპოვებს დანარჩენ საპრიზო ადგილებს, რომლებისათვისაც ბრძოლის მეტოქეებს შესაძლებლობებს ინარჩუნებენ „ავანგარდი", „ტრუდი", სოფლის მოკადრაკეთა ნაკრები" და ცდსა.

ცდსა-ს შედარებით დაბალი შედეგი საკმაოდ მოულოდნელია, თუნდაც იმიტომ, რომ აქ ორი მსოფლიოს ჩემპიონი თამაშობს.

გუშინ მეექვსე ტურში ყურადღების ცენტრში იყო ალექსანდრია-გაფრინდაშვილის პარტია.

ამ პარტიაში უპირატესობა დიდხანს მსოფლიოს ჩემპიონის მხარეზე იყო. მაგრამ ციტენტრში ალექსანდრიამ მკვეთრად გააფვალა ბრძოლა. პარტია გადაიდო. სწორედ დამთავრდა ყაბით კარპოვ-სმისლოვის, ლუტიკოვ-ბრონშტეინისა და ტალ-პეტროსიანის პარტიები. კორჩნოიმ პაიკი მოიგო რომანიშინს და გადადებულ პოზიციაში მოგების შესაძლებლობა აქვს.

დღეს მთავრდება 6 ტურის შემდეგ გადადებული პარტიები.

გ. გამრეკელი.

ნ. გაფრინდაშვილი

ა. კარპოვი

გ. ფორსულიანს
მეგობრული შარეი.

ფეხბურთი

ფრე ეუთაისში

გუშინ ქუთაისში „ა" კლასის პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ადგილობრივი „ტორპედო" მასპინძლობდა ნალჩიკის „სპარტაკს".

თამაშის პირველ ნახევარში ანგარიში არ გახსნილა. შესვენების შემდეგ (62-ე წუთზე) ფეხტენიძემ გიატანა ბურთი, რომელიც სტუმრებმა ათი წუთის შემდეგ გაქვითეს. 1:1 — ასე დამთავრდა ეს მატჩი.

ამოკლედ

პოკეი. ალტოვიცეში გუშინ გაიმართა პირველი ფინალური ოთხეულის ორი მატჩი. მოსოფლიოსა და ევროპის ახალი ჩემპიონი ჩეხოსლოვაკიის გუნდი შეხვდა შვეიცის ნაკრებს და გაიმარჯვა ანგარიშით 5:3.

გუშინვე გვიან ღამით დამთავრდა სსრ კავშირისა და აშშ-ის პოკეისტთა ასპარეზობა.

მეორე ჯგუფის ფინალის მორიგი მატჩები დამთავრდა ფრედ: გდრ-გერ — 1:1 და პოლონეთი-ფინეთი — 5:5.

ფყალში ხტომა. ალმაათელმა ვიტალი ტოშჩენკომ ბუქარესტში გამართულ რუმინეთის ღია ჩემპიონატზე პირველობა მოიპოვა ყოშკენიდან ხტომაში — 478,40 ქულა.

ფეხბურთი. გდრ-ის ოლიმპიურმა ნაკრებმა ქალაქ კოტბუსში ამხანაგური მატჩში ანგარიშით 5:0 (3:0) დაამარცხა ალჟირის ნაკრები.

ძალოსნობა. ბულგარეთის საკურორტო ქალაქ ვარნაში გამართულ ასპარეზობაში ბადროსმტყორცნელთა შორის გაიმარჯვა სსრ კავშირის ხალხთა მე-6 სპარტაკიადის ჩემპიონმა, მოსკოველმა ნიკოლაზ ვიხორმა — 60,22 მეტრი.

ჭიდაობა

ევროპის ჩემპიონები

გუშინ ლენინგრადში, „საიუბილეოს" სპორტის სასახლეში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში.

74 კგ. წონით კატეგორიაში, როგორც ცნობილია, გამოდიოდა ქართველი ფალავანი — სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი, საქართველოს ფიზიკურ კულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, 23 წლის იოსებ ბერიშვილი (თბილისის სკა), ჩვენმა მოჭიდავემ კარგი სტარტი აიღო, ზედიზედ ოთხი წმინდა გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ გადამწყვეტი ორთაბრძოლა წაგო ბულგარელ ივანო მოპოვთან და ბრონზეულ ადგილზე გამოვდა.

ი. მოპოვის გარდა კონტინენტის ჩემპიონები გახდნენ (წონითი კატეგორიების მიხედვით): ალექსი შემაკოვი (სსრ კავშირი), პეტრე კიროვი (ბულგარეთი), ფარხად მუსტაფინი (სსრ კავშირი), კაზიმეე ლიპენი (პოლონეთი), ლარს სკელდი (შვეიცარია), ჩაბა ხვეგდიეული (უნგრეთი), ფრანკ ანდერსონი (შვეიცარია), ნიკოლოზ ბალბაშინი (სსრ კავშირი), ალექსანდრე ტომოვი (ბულგარეთი).

ჩოგბურთი

„დინამოს" კორტებზე

გუშინ სპორტსაზოგადოება „დინამოს" ჩოგბურთის კორტებზე სტარტი აიღო საქართველოს თასის გათამაშებამ ჩოგბურთში. ქალთა ვუნდების ტურნირზე აჭარის ნაკრებმა 5:0 ჯოუგო რუსთაველ სპორტსმენებს.

ვაკთა გუნდების შეჯიბრებაზე აფხაზეთის ჩოგბურთელებმა სძლიეს ქუთაისელ სპორტსმენებს — 4:1. ასეთივე ანგარიშით გარდაბნის ნაკრებმა წაგო რუსთავის კოლექტივთან. მცხეთელები დამარცხდნენ აჭარის გუნდთან — 0:5.

ბოქსი

გუშინ დასავლეთ საქართველოში უნალეკო ამინდი იდგა, 13 საათზე დაბლობ რაიონებში 16-24, მთაში 14-18 გრადუსი სითბო იყო.

აღმოსავლეთ საქართველოშიც თითქმის უნალეკო ამინდი იდგა, დაბლობ რაიონებში 15-19, მთაში 10-16 გრადუსი სითბო აღინიშნა.

თბილისში 13 საათზე თერმომეტრი 19 გრადუსს სითბოს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოს სამხრეთ რაიონებში მცირე წვიმაა მოსალოდნელი, რიონის ხეობაში აღმოსავლეთის ქარი იქროლებს. დაბლობ რაიონებში 20-25, მთაში 12-17 გრადუსი სითბო იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ზოგან ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, დაბლობ რაიონებში 14-19, მთაში 10-15 გრადუსი სითბო.

თბილისში მოსალოდნელია ელჭექის ხასიათის ხანმოკლე წვიმა, ტემპერატურა 17-19 გრადუსი სითბო.

ნახატი და თოჯინური ფილმების საუკეთესო სცენარების კონკურსის დებულება

ნახატი და თოჯინური ფილმების იდეურ-მხატვრული დონის ამაღლების მიზნით საქართველოს სსრ კინოკომიტეტი და კინემატოგრაფისტთა კავშირი აწყობენ კონკურსს ნახატი და თოჯინური ფილმების საუკეთესო სცენარზე.

სცენარი შეიძლება ამაღლებული იყოს როგორც სამამაცო, ისე უფროსების ნახატი და თოჯინური ფილმისათვის. კონკურსი არ ზღუდავს ავტორებს ნაწარმოების ჟანრის არჩევაში.

კონკურსს ორგანიზაცია ეევალება ორგკომიტეტს.

კონკურსზე დაიშვება ნახატი და თოჯინური ფილმების ორიგინალური სცენარები.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მხურველს.

საუკეთესო კინოსცენარებისთვის დაწესებულია შემდეგი პრემიები:

ერთი პირველი პრემია — 800 მან.
ორი მეორე პრემია — 500 მან.
სამი მესამე პრემია — 300 მან.
ერთი წამახალისებელი პრემია — 200 მან.

ეფრფსების ნახატი და თოჯინური ფილმების სცენარისთვის:

ერთი პირველი პრემია — 500 მან.
ორი მეორე პრემია — 300 მან.
სამი მესამე პრემია — 150 მან.
ერთი წამახალისებელი პრემია — 100 მან.

პრემიებიდ აღნიშნული კინოსცენარები გაიგზავნება კინოსტუდია „ქართულ ფილმში" და შეეა სტუდიის საწარმოო გეგმაში.

კონკურსზე მიღებული პრემიის თანხა არ შეიბრუნებ ავტორებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატი და თოჯინური ფილმების იდეურ-მხატვრული დონის ამაღლების მიზნით საქართველოს სსრ კინოკომიტეტი და კინემატოგრაფისტთა კავშირი აწყობენ კონკურსს ნახატი და თოჯინური ფილმების საუკეთესო სცენარზე.

სცენარი შეიძლება ამაღლებული იყოს როგორც სამამაცო, ისე უფროსების ნახატი და თოჯინური ფილმისათვის. კონკურსი არ ზღუდავს ავტორებს ნაწარმოების ჟანრის არჩევაში.

კონკურსს ორგანიზაცია ეევალება ორგკომიტეტს.

კონკურსზე დაიშვება ნახატი და თოჯინური ფილმების ორიგინალური სცენარები.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მხურველს.

საუკეთესო კინოსცენარებისთვის დაწესებულია შემდეგი პრემიები:

ერთი პირველი პრემია — 800 მან.
ორი მეორე პრემია — 500 მან.
სამი მესამე პრემია — 300 მან.
ერთი წამახალისებელი პრემია — 200 მან.

ეფრფსების ნახატი და თოჯინური ფილმების სცენარისთვის:

ერთი პირველი პრემია — 500 მან.
ორი მეორე პრემია — 300 მან.
სამი მესამე პრემია — 150 მან.
ერთი წამახალისებელი პრემია — 100 მან.

პრემიებიდ აღნიშნული კინოსცენარები გაიგზავნება კინოსტუდია „ქართულ ფილმში" და შეეა სტუდიის საწარმოო გეგმაში.

კონკურსზე მიღებული პრემიის თანხა არ შეიბრუნებ ავტორებ.

კონკურსზე გამოგზავნილი ხელნაწერები რეცენზირებული არ იქნება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჰირველი ჰროგრამით

26 აპრილი

10.10 — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — „ნორჩების შემოქმედება" (გადმოცემა მოსკოვიდან),
18.05 — მოსწავლეთათვის — კონცერტი,
18.40 — „ვეფხნიკი" — საინფორმაციო პროგრამა,
19.00 — გადაცემა „ფართოდ დავნერგოთ ბრიგადული ფორმა",
19.20 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დახვრეტა",
21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — კონცერტი,
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „ფილმის დაბადება",
23.15 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე, „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ზარია" (ლენინგრადი). (მე-2 ტაიმი) — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან).

27 აპრილი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — VIII კლასელთათვის — ზოგადი ბიოლოგია,
11.00 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი — „შავი ზღვის ტალღები" „შავი ზღვის ტალღები" (II სერია), (გადმოცემა მოსკოვიდან),
17.05 — მოსწავლეთათვის — გერმანული ენა,
17.35 — განცხადებები,
18.25 — მოსწავლეთათვის „ვინ მინდა ვიყო",
19.00 — „ჩვენი კომენტარი",
19.10 — სატელევიზიო პროფკავშირული ჟურნალი — „შრომა და დასვენება",
19.55 — „სოციალისტური ცხოვრების წესი და ხალხის კეთილდღეობა" (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.45 — ნახატი ფილმი „გმირი ერთი საათით",
21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — გადაცემა ციკლიდან „ქართული საბჭოთა ხელოვნება" — სვეტიცხოველი (ფერადი გამოსახულებით),
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — კონცერტი, დასასრული — ახალი ამბები.

29 აპრილი

10.10 — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „უსტიუურტის ცხელი სუნთქვა",
11.00 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „შავი ზღვის ტალღები" (I სერია), (გადმოცემა მოსკოვიდან),
17.00 — თამაშობს ანატოლი კარპოვი,
17.15 — მოსწავლეთათვის — ინგლისური ენა,
18.25 — თამაშობს ანატოლი კარპოვი,
19.20 — მოსწავლეთათვის „მაცნე",
19.40 — „პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე",
19.50 — თამაშობს ანატოლი კარპოვი,
20.00 — „ჩვენი ინტერვიუ",
20.25 — ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები,
21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ახალდაქორწინებულნი",
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — თამაშობს ანატოლი კარპოვი,
22.45 — სპორტული მიმოხილვა, დასასრულ — ახალი ამბები.

28 აპრილი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — IX კლასელთათვის — ზოგადი ბიოლოგია,
11.00 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი — „შავი ზღვის ტალღები" (II სერია), (გადმოცემა მოსკოვიდან),
17.05 — მოსწავლეთათვის — გერმანული ენა,
17.35 — განცხადებები,
18.25 — მოსწავლეთათვის „ვინ მინდა ვიყო",
19.00 — „ჩვენი კომენტარი",
19.10 — სატელევიზიო პროფკავშირული ჟურნალი — „შრომა და დასვენება",
19.55 — „სოციალისტური ცხოვრების წესი და ხალხის კეთილდღეობა" (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.45 — ნახატი ფილმი „გმირი ერთი საათით",
21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — გადაცემა „ქართული ხალხური ცეკვა",
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — კონცერტი, დასასრული — ახალი ამბები.

30 აპრილი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — „მაღვიძარა" ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.00 — „მოულტანორამა",
12.00 — „ყვავლაზი ახალგაზრდა ლაურეატები" ფერადი გამოსახულებით (გადმორეტებით),
13.05 — „მოსიკალური ალოსი" ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
13.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის „სტუდენტური გაზეთი" ფერადი გამოსახულებით,
14.30 — „მუსიკალური შეხვედრები" ფერადი გამოსახულებით,
16.00 — ქართული მხატვრული ფილმი „ვარის ბინის შელოდიები". ფერადი გამოსახულებით,
17.35 — „ცეროდინას ეკრანი",
18.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე „დინამო" (თბილისი) — „ერილია სოვეტოვი" (ბრიბიშევი), მესამენების დროს კინონარკვევი,
19.45 — საესტრადო კონცერტი „ოიტმები, მელოდიები,
20.50 — ნახატი ფილმი „სამი ჯადოსნური ბომბოლი",
21.00 — „კინომოგზაურთა ალბომი" ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.35 — „თეატრალური შეხვედრები".

ტელევიზია

24 აპრილი

პირველი პროგრამით

10.00 — „ბავშვებს — ცხოველების შესახებ" (გადმოცემა ლენინგრადიდან), 11.00 — „მეეიოსწავლოთ ქართული ენა", 11.45 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი, 12.05 — გადაცემა „დოკუმენტური კინო ბრალს სდებს", 12.30 — „1976 წლის ლენინური პრემიის ლაურეატები ლიტერატურის, სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში" (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.05 — მულტფილმი, 15.05 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.35 — ევროპის პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში (გადმოცემა ლენინგრადიდან), 16.10 — „მულტანორამა", 17.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის შეიარაღებისათვის, 18.15 — საუბარი საერთაშორისო თემაზე: სტუდიაში გაზეთ „პრავდის" პოლიტიკური მიმომხილველი ი. ფეკოვი (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — ნახატი ფილმები „მუსიკოსები", „ოპტიმისტი" და „ახალი მთვარე", 19.30 — „ამკარა — დაუჯერებელი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „მუსიკალური ფანტაზია", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — საზღვარგარეთის ესტრადის ოსტატები, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში I ლიგის გუნდებს შორის „ტორპედო" (ქუთაისი) — „სპარტაკი" (ნალჩიკი). მეორე ტაიმი (23 აპრილის მატჩის ვიდეოჩანაწერი), 23.15 — „კინოლექტორიუმი" ფრაგმენტები მხატვრული ფილმიდან „შეანიშნავი შვიდეული".

მეორე პროგრამით

18.05 — ბავშვებისათვის — გასართობი კინოპროგრამა, 19.05 — „კინოდოკუმენტალისტის თვალით", 20.30 — ქართული მხატვრული ფილმი „დავით გურამიშვილი", 21.40 — კინონარკვევი, 22.00 — „ახალი საესტრადო ჩანაწერები".

რადიო

25 აპრილი

პირველი პროგრამით

08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ს. ნასიძე — პირველი საფორტეპიანო კონცერტი, 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.30 — ნ. გუდიაშვილი. საფორტეპიანო სონატა, 13.45 — ი. სიბელიუსი — სიმფონიური ლეგენდა „ტოფელის გედი", 15.00 — „მეგობრების ხმები" (გადმოცემა ვარშავიდან), 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „ლუბოვ შეკვოვა", 18.05 — ქართული კამერული მუსიკა, 18.45 — ანსამბლ „პეტნიარის" კონცერტი, 19.00 — საუბარი „საინჟინრო-ტექნიკური სამსახური სოფლად", 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.20 — „თეატრი მიერფიფონთან" — ბალეტი „ოცა ქალაქს ხანაგს", 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა.

თეატრები

24 აპრილი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **მოჯალი — ქალბატონი, სოფლის პატიოსნება** (მე-5 აბონ. მე-6 წარმოდგენა); შო